სამთო ტექნიკოსი	
პროგრამის ტიპი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
დონე: მესამე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში	
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა: საბაზო განათლება	
პროგრამის მიზანი: მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სამთო - ტექნოლოგიურ, საგამყვანო და წმენდითი სამუშაოების პროცესებში მონაწილეობას, ამ პროცესებში უწესრიგობების გამოვლენა-აღმოფხვრას და უსაფრთხო მომსახურებას.	
პროგრამის სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: • აღრიცხოს ობიექტზე განთავსებული დანადგარები და სამაგრი მასალები, ობიექტი მოიყვანოს მუშა მდგომარეობაში; • დააკომპლექტოს მასალები და განსაზღვროს სამაგრი კონსტრუქციების დასაყენებელი ადგილი, განსაზღვრული თანმიმდევრობით დააყენოს მუდმივი სამაგრი კონსტრუქციის ელემენტები; • მოანგრიოს ქანი მოსამზადებელ და წმენდით სანგრევში, გაბურღოს შპურები; • აწმინდოს და დატვირთოს სამთო მასა მოსამზადებელ გვირაბებში; • მართოს სამთო მანქანები, მოწყობილობები და კომპლექსები, დააყენოს სამაგრი წმენდით სანგრევში და მართოს ჭერი; • გაზომოს საჰაერო გარემოს შემადგენლობა, ქანებისა და ჰაერის ტემპერატურა; • შეამოწმოს გვირაბის განიავების სისტემა; • შეამოწმოს ინდივიდუალური დაცვის აპარატურა, შეასრულოს ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოები; • შეამოწმოს სამთო მანქანების და კომპლექსების ტექნიკური მდგომარეობა, გააჩეროს დაზიანებული სამთო მანქანები, მოწყობილობები და კომპლექსები; • შეასრულოს გეგმიური სარემონტო სამუშაოები.	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 60 კრედიტს	*არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 75 კრედიტს*
სწავლის ხანგრძლივობა	
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 11 თვეს	*არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 13 თვეს*

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს მიწისქვეშა სამთო საწარმოებში (შახტები, მაღაროები), სატრანსპორტო გვირაბებში (სარკინიგზო, საავტომობილო), მეტროპოლიტენში.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 10 კრედიტის მოცულობით, 12 პროფესიულ მოდულს 50 კრედიტის მოცულობით და ქართული ენის მოდულს 15 კრედიტის მოცულობით.

მოდულის: „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
2	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3	უცხოური ენა (ინგლისური)	4
4	გაცნობითი პრაქტიკა - სამთო საქმე	2
5	სამთო საქმის საფუძვლები	2
6	პრაქტიკული პროექტი სამთო ტექნიკოსისათვის	5
7	წმენდითი და გვირაბგასაყვანი სამუშაოების ორგანიზაცია	4
8	გვირაბების გაყვანის ორგანიზაცია	4
9	წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია	8
10	სამთო საწარმოთა აეროლოგია	4
11	შრომის უსაფრთხოება სამთო საწარმოებში	4
12	სამთო მანქანების, მოწყობილობებისა და კომპლექსების რემონტი	6
13	გვირაბების სამაგრი კონსტრუქციები	3
14	ტექნიკური დოკუმენტაცია და გრაფიკული მასალები	3
15	სამთო საწარმოების სატრანსპორტო მანქანები	5
	ჯამში	**60**

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა:
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამის განხორციელების ადგილი:
ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი №4
ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №13

პრაქტიკის კომპონენტი:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია:
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების შერჩევა წარიმართება პრაქტიკული მოსინჯვის გზით. სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის არსებობს სხვა და სხვა ტიპის რესურსი.
საგანმანათლებლო მხარდაჭერა დამოკიდებულია პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:
სასწავლო პროცესისა და რესურსის მორგება;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა;
ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მხარდაჭერა;
სასწავლო პროცესის ასისტენტის მხარდაჭერა;
ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
სხვა საჭირო რესურსისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ტრენინგ-შეხვედრები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- მშობელთა ფსიქო-განათლება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე ღონისძიებ(ებ)ის მოწყობა;
- ინფორმაციული ბუკლეტებისა და ბროშურების შექმნა;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია და ა.შ.

საკონტაქტო პირი ბადრი კობახიძე
ტელეფონი 579 23 226 05
e-mail: badrikobakhidze1948@gmail.com

პროგრამაზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით საკონტაქტო პირ(ებ)ი
მაია ფრიდონიშვილი
pridonishvili.m@gtu.ge
557278970
ლელა გერგეშელიძე
l.gergeshelidze@gtu.ge
599270682